

მუნიციპალური განვითარების სტრატეგიების ინდიკატორების პასპორტი (პროექტი)

გავლენის (მიზნის) ინდიკატორები

1. მუნიციპალიტეტში საბაზისო ინფრასტრუქტურული სერვისებით სარგებლობა
2. საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოდერნიზება
3. ინფრასტრუქტურის მდგრადი განვითარება და ეკოლოგიურად სუფთა, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა
4. მუნიციპალიტეტის ტყით დაფარვა, %
5. მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობის ზრდა (ბიზნეს სექტორის ბრუნვა), მილიონი ლარი
6. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რაოდენობა
7. განათლების სერვისებით მოსარგებლე ბავშვებისა და ახალგაზრდების წილი შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის საერთო რაოდენობაში მუნიციპალიტეტში (%)
8. კულტურული სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდა (%)
9. რეგულარულად სპორტით დაკავებული მოსახლეობის წილი
10. ახალგაზრდების ჩართულობის დონე ადგილობრივად დაგეგმილ ახალგაზრდულ პროგრამებსა თუ პროექტებში

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

1. მყარსაფარიანი მოწესრიგებული მუნიციპალური გზების წილი მუნიციპალური გზების მთლიან მოცულობაში
2. წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელის მოდერნიზება, სოფლებსა და ქალაქში წყალმომარაგების უზრუნველყოფა
3. სკოლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია და მოდერნიზება
4. კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა/რეაბილიტაცია
5. მუნიციპალიტეტის ურბანული იერსახის გაუმჯობესება
6. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება
7. ეკოლოგიურად პასუხისმგებელი ინფრასტრუქტურული სტანდარტების დანერგვა
8. მიუსაფარი და ქუჩის ძაღლების პოპულაციის ჰუმანური მართვა
9. მუნიციპალური ნარჩენების გატანის მომსახურებით მოსახლეობის დაფარვის მაჩვენებელი, %
10. მცირე და საშუალო მეწარმეობის და ინოვაციური ბიზნეს იდეების მხარდაჭერის პროგრამების დანერგვა
11. ბიზნესგარემოს გაუმჯობესება: რეგულაციების გამარტივება, ინვესტიციების მოზიდვა და საჯარო-კერძო პარტნიორობების ხელშეწყობა
12. ინოვაციური ბიზნეს-სივრცეების (ბიზნეს ჰაბები, სტარტაპ ცენტრები) შექმნა და განვითარება
13. ინოვაციური ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარების ხელშეწყობა.
14. სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის დონე

15. სკოლამდელ დაწესებულებებში რეგისტრირებული ბავშვების რაოდენობის პროცენტი იმ ბავშვების მთლიანი რაოდენობაზე, რომლებიც 2–6 წლის ასაკში სკოლამდელ განათლებას საჭიროებენ.
16. საგანმანათლებლო პროექტებში/პროგრამებში მოსწავლეთა ჩართულობის ზრდა
17. პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრირებული დმანისის მოქალაქეების რაოდენობა
18. კულტურულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობის მაჩვენებელი (%)
19. მუნიციპალიტეტში მოქმედ კულტურულ დაწესებულებათა მიერ სუბიექტების მიერ განხორციელებული პროგრამების/აქტივობების მოსარგებლეთა წილი
20. ინოვაციური და ციფრული პლატფორმების გამოყენებით ხელმისაწვდომი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების რაოდენობის ზრდა
21. დმანისის მუნიციპალიტეტში სპორტული აქტივობებში მონაწილე მოსახლეობის პროცენტი
22. მუნიციპალიტეტში მოქმედ სპორტულ სუბიექტების მიერ განხორციელებულ აქტივობებში ჩართულ ახალგაზრდათა რაოდენობის ზრდა
23. სპორტული სკოლების, კლუბების და ა(ა)იპ-ების შორის განხორციელებული ერთობლივი პროექტებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა
24. დანერგილი ინოვაციური სპორტული აქტივობებისა და ციფრული პლატფორმების რაოდენობა, რომლებიც ხელს უწყობს ახალგაზრდების ჩართულობას და ჯანმრთელი ცხოვრების სტიმულირებას
25. მოწყობილი ან რეაბილიტირებული ახალგაზრდული სივრცეებით მოსარგებლეთა რაოდენობა
26. ახალგაზრდების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც მონაწილეობენ მეწარმეობის ან ინოვაციურ პროექტებში
27. ორგანიზებული კონკურსებსა და პროექტებში ჩართულთა რაოდენობა წელიწადში
28. მუნიციპალური მხარდაჭერის ფარგლებში ნიჭიერი ახალგაზრდების ჩართულობის მაჩვენებელი

გავლენის (მიზნის) ინდიკატორები

1. მუნიციპალიტეტში საბაზისო ინფრასტრუქტურული სერვისებით სარგებლობა

ინდიკატორის დასახელება	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კმაყოფილების პროცენტული მაჩვენებელი საბაზისო ინფრასტრუქტურის სერვისების სარგებლობით
ინდიკატორის ტიპი	გავლენის
ინდიკატორის კავშირი პროგრამის მიზანთან / ამოცანასთან	მიზანი 1.1: საბაზისო ინფრასტრუქტურის განვითარების დონე და ხელმისაწვდომობა.
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი ითვლის დმანისის მუნიციპალიტეტში საბაზისო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების დონეს.
დადასტურების წყარო	მოსახლეობის კმაყოფილების კვლევის შედეგები
მონაცემების შეგროვებაზე	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია

პასუხისმგებელი უწყება				
მონაცემების შეგროვების სიხშირე	წლიური			
მეთოდოლოგია	ინდიკატორის გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად: დაითვლება მყარსაფარიანი მოწესრიგებული გზების სიგრძე.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	საბოლოო სამიზნე
	წელი	2024	2031	2037
	მაჩვენებელი	51%	60%	75%

2. საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოდერნიზება

ინდიკატორის დასახელება	მოწყობილი ან რეაბილიტირებული საზოგადოებრივი სივრცეების რაოდენობის ზრდა
ინდიკატორის ტიპი	გავლენის
ინდიკატორის კავშირი პროგრამის მიზანთან / ამოცანასთან	მიზანი 1.2: საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოდერნიზება
ინდიკატორის აღწერა	(ინდიკატორის დასახელებიდან გამომდინარე, დაითვლება საზოგადოებრივი და რეკრეაციული სივრცეების რაოდენობა
დადასტურების წყარო	მუნიციპალური მონაცემები, მოსახლეობის კმაყოფილების დონის კვლევის შედეგები;
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	მუნიციპალიტეტის მერია
მონაცემების შეგროვების სიხშირე	წლიური
მეთოდოლოგია	ინდიკატორის გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად: დაითვლება მუნიციპალიტეტში მოწყობილი და რეაბილიტირებული საზოგადოებრივი და რეკრეაციული სივრცეების რაოდენობა

ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	საბოლოო სამიზნე
	წელი	2025	2031	2037
	მაჩვენებელი	20%	50%	60%

3. ინფრასტრუქტურის მდგრადი განვითარება და ეკოლოგიურად სუფთა, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა

ინდიკატორის დასახელება	ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო ინფრასტრუქტურული ობიექტების პროცენტული წილი			
ინდიკატორის ტიპი	გავლენის			
ინდიკატორის კავშირი პროგრამის მიზანთან / ამოცანასთან	მიზანი 1.3: ინფრასტრუქტურის მდგრადი განვითარება და ეკოლოგიურად სუფთა, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა			
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი ითვლის მუნიციპალიტეტში წლის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში ენერგოეფექტურობის და სხვა სტანდარტების შესაბამისად განხორციელებულ ინფრასტრუქტურული პროექტების წილს ინფრასტრუქტურული პროექტების საერთო რაოდენობასთან მიმართებაში			
დადასტურების წყარო	მუნიციპალური მონაცემები			
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	მუნიციპალიტეტის მერია			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	წლიური			
მეთოდოლოგია	ინდიკატორის გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად: დაითვლება მუნიციპალიტეტში განხორციელებული ეკოლოგიურად სუფთა, ენერგოეფექტურობის სტანდარტების დაცვით განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობით, ზემოხსენებული სტანდარტების გათვალისწინებით აგებული ობიექტების რაოდენობით.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	საბოლოო სამიზნე
	წელი	2025	2031	2037
	მაჩვენებელი	10%	40%	60%

4. მუნიციპალიტეტის ტყით დაფარვა, %

ინდიკატორის დასახელება	მუნიციპალიტეტის ტყით დაფარვა, %			
ინდიკატორის ტიპი	გავლენის			
ინდიკატორის კავშირი პროგრამის მიზანთან / ამოცანასთან	მიზანი N1.3 – გარემოს დაცვის, ეკოსისტემების აღდგენისა და კლიმატის ცვლილებების მიმართ მუნიციპალიტეტის მდგრადობის გაძლიერება. ამოცანა N1.3.4 – მწვანე სივრცეების, ეკო-ზოლებისა და ზოგადი ურბანული გარემოს გამწვანების გაძლიერება. ინდიკატორი გამოიყენება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტყით დაფარული ფართობების ზრდის, დეგრადირებული ტყის ზონების აღდგენისა და განხორციელებული გამწვანების ღონისძიებების გრძელვადიანი გარემოსდაცვითი ეფექტის შესაფასებლად.			
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი ითვლის მუნიციპალიტეტის მთლიან ფართობში ტყის პროცენტს.			
დადასტურების წყარო	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ეროვნული სატყეო სააგენტო, მუნიციპალური მონაცემები			
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	მუნიციპალიტეტის მერია			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	წლიური			
მეთოდოლოგია	ინდიკატორის გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტყეების საერთო ფართობის მიმართება პროცენტულად მუნიციპალიტეტის საერთო ფართობთან. შუალედური და საბოლოო სამიზნე მაჩვენებელი შედარდება საბაზისო წლის მაჩვენებელს.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	საბოლოო სამიზნე
	წელი	2024	2031	2037
	მაჩვენებელი	16%	17%	18%

5. მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობის ზრდა (ბიზნეს სექტორის ბრუნვა), მილიონი ლარი

ინდიკატორის დასახელება	მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორის ბრუნვა
------------------------	--

ინდიკატორის ტიპი	გავლენის			
ინდიკატორის კავშირი პროგრამის მიზანთან / ამოცანასთან	მიზანი 2.1: დმანისის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მეწარმეობის გაძლიერება და ბიზნესგარემოს განვითარება			
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი ითვლის დმანისის მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორის წლიურ ბრუნვას.			
დადასტურების წყარო	საქსტატი, რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის პორტალი, ბიზნეს სექტორი			
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	წლიური			
მეთოდოლოგია	ინდიკატორის გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად: დაითვლება დმანისის მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორის წლიური ბრუნვა მილიონ ლარში.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	საბოლოო სამიზნე
	წელი	2024	2031	2037
	მაჩვენებელი	98,8 მლნ	სულ მცირე 109 მლნ	სულ მცირე 125 მლნ

6. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რაოდენობის შემცირება მთლიანად მოსახლეობაში

ინდიკატორის დასახელება	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რაოდენობის შემცირება მთლიანად მოსახლეობაში			
ინდიკატორის ტიპი	გავლენის			
ინდიკატორის კავშირი პროგრამის მიზანთან / ამოცანასთან	მიზანი 3.1. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება			
ინდიკატორის აღწერა	ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობით მოსარგებლე მოსახლეობის სოციალური დაცვა; მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების			

	ფარგლებში სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის დახმარება.			
დადასტურების წყარო	სოციალური მომსახურების სააგენტო			
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	მუნიციპალიტეტის მერია			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	კვარტალური/წლიური			
მეთოდოლოგია	ინდიკატორის გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად: ითვლება წლის განმავლობაში სოციალური პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა; ითვლება ასევე დაკმაყოფილებული განცხადებების რაოდენობა;			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	საბოლოო სამიზნე
	წელი	2025	2031	2037
	მაჩვენებელი	21%	17%	12%

7. განათლების სერვისებით მოსარგებლე ბავშვებისა და ახალგაზრდების წილი შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის საერთო რაოდენობაში მუნიციპალიტეტში (%)

ინდიკატორის დასახელება	განათლების სერვისებით მოსარგებლე ბავშვებისა და ახალგაზრდების წილი შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის საერთო რაოდენობაში მუნიციპალიტეტში (%)
ინდიკატორის ტიპი	გავლენის
ინდიკატორის კავშირი პროგრამის მიზანთან / ამოცანასთან	მიზანი 4.1 - ხარისხიანი და ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო სერვისების უზრუნველყოფა
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი ასახავს მუნიციპალიტეტში განათლების სისტემის გრძელვადიან გავლენას და აჩვენებს, თუ რამდენად არის უზრუნველყოფილი ბავშვებისა და ახალგაზრდების ჩართულობა ფორმალური თუ არაფორმალური განათლების სერვისებში. იგი მოიცავს სკოლამდელი, სასკოლო, პროფესიული და ახალგაზრდული საგანმანათლებლო პროგრამებით მოსარგებლე პირებს და ასახავს განათლების ხელმისაწვდომობის საერთო დონეს მუნიციპალიტეტში

დადასტურების წყარო	მუნიციპალური მონაცემები			
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	მუნიციპალიტეტის მერია			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	წლიური			
მეთოდოლოგია	ინდიკატორი გამოითვლება განათლების სერვისებით მოსარგებლე ბავშვებისა და ახალგაზრდების უნიკალური რაოდენობის შეფარდებით მუნიციპალიტეტში შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის საერთო რაოდენობასთან და გამრავლებით 100-ზე.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	საბოლოო სამიზნე
	წელი	2025	2031	2037
	მაჩვენებელი	გაანგარიშდება საქსტატის განახლებული მონაცემების შესაბამისად	10% ზრდა	15 % ზრდა

8. კულტურული სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდა (%)

ინდიკატორის დასახელება	კულტურული სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდა (%)
ინდიკატორის ტიპი	გავლენის
ინდიკატორის კავშირი პროგრამის მიზანთან / ამოცანასთან	მიზანი 5.1 - ინოვაციებზე დაფუძნებული და ხელმისაწვდომი კულტურული გარემოს განვითარება
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი ასახავს მუნიციპალიტეტში კულტურულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გრძელვადიან ცვლილებას და ზრდის ტენდენციას. იგი ზომავს, რამდენად გაუმჯობესდა მოსახლეობის შესაძლებლობა ისარგებლოს კულტურული დაწესებულებებისა და კულტურული პროგრამების მომსახურებით (მუზეუმები, ბიბლიოთეკები, კულტურის სახლები, ფესტივალები, შემოქმედებითი და კულტურული ღონისძიებები).
დადასტურების წყარო	მუნიციპალური მონაცემები

მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	მუნიციპალიტეტის მერია			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	წლიური			
მეთოდოლოგია	ინდიკატორის გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად: დაითვლება წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში (გამოფენები, ფესტივალები, სპექტაკლები, კონცერტები, და სხვა ღონისძიებები) მონაწილეთა რაოდენობა და მათ შორის, ასევე კულტურის სფეროში მოქმედი ააიპების სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	საბოლოო სამიზნე
	წელი	2025	2031	2037
	მაჩვენებელი	30 %	45 %	70%

9. რეგულარულად სპორტით დაკავებული მოსახლეობის წილი

ინდიკატორის დასახელება	სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდაჭერა
ინდიკატორის ტიპი	გავლენის
ინდიკატორის კავშირი პროგრამის მიზანთან / ამოცანასთან	5.2 სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდაჭერა
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი ასახავს მუნიციპალიტეტში სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდაჭერის პოლიტიკის გრძელვადიან გავლენას მოსახლეობის ქცევაზე და ჩართულობაზე. იგი ზომავს იმ მოსახლეობის წილს, რომელიც რეგულარულად მონაწილეობს სპორტულ აქტივობებში, მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში ან ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობ პროგრამებში.
დადასტურების წყარო	მუნიციპალური მონაცემები
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	მუნიციპალიტეტის მერია

მონაცემების შეგროვების სიხშირე	წლიური			
მეთოდოლოგია	ინდიკატორი გამოითვლება სპორტულ და ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდამჭერ აქტივობებში რეგულარულად ჩართული უნიკალური მოსახლეობის რაოდენობის შეფარდებით მუნიციპალიტეტის საერთო მოსახლეობასთან და გამრავლებით 100-ზე.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	საბოლოო სამიზნე
	წელი	2024	2031	2037
	მაჩვენებელი	5%	15%	30%

10. ახალგაზრდების ჩართულობის დონე ადგილობრივად დაგეგმილ ახალგაზრდულ პროგრამებსა თუ პროექტებში

ინდიკატორის დასახელება	ახალგაზრდების ჩართულობის დონე ადგილობრივად დაგეგმილ ახალგაზრდულ პროგრამებსა თუ პროექტებში
ინდიკატორის ტიპი	გავლენის
ინდიკატორის კავშირი პროგრამის მიზანთან / ამოცანასთან	5.3 ახალგაზრდობის მხარდაჭერა
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი ასახავს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პოლიტიკის გრძელვადიან გავლენას და ზომავს ახალგაზრდების ჩართულობის დონეს ადგილობრივად დაგეგმილ და განხორციელებულ ახალგაზრდულ პროგრამებსა და პროექტებში. იგი მოიცავს საგანმანათლებლო, კულტურულ, სპორტულ, ინოვაციურ, სამოქალაქო და მოხალისეობრივ ახალგაზრდულ აქტივობებს და აჩვენებს, რამდენად აქტიურად მონაწილეობენ ახალგაზრდები ადგილობრივი განვითარების პროცესებში.
დადასტურების წყარო	მუნიციპალური მონაცემები
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	მუნიციპალიტეტის მერია

მონაცემების შეგროვების სიხშირე	წლიური			
მეთოდოლოგია	ინდიკატორი გამოითვლება საანგარიშო პერიოდში ახალგაზრდულ პროგრამებსა და პროექტებში მონაწილე უნიკალური ახალგაზრდების რაოდენობის შეფარდებით მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების საერთო რაოდენობასთან და გამრავლებით 100-ზე.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	საბოლოო სამიზნე
	წელი	2025	2031	2037
	მაჩვენებელი	10%	15%	25%

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

- მყარსაფარიანი მოწესრიგებული მუნიციპალური გზების წილი მუნიციპალური გზების მთლიან მოცულობაში

ინდიკატორის დასახელება	მოწესრიგებული მყარსაფარიანი მუნიციპალური გზების წილის ზრდა მუნიციპალური გზების მთლიან მოცულობაში
ინდიკატორის ტიპი	ამოცანის შედეგის
ინდიკატორის კავშირი პროგრამის მიზანთან / ამოცანასთან	მიზანი 1.1: დმანისის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი გზების (მათ შორის ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) მოწყობა/რეაბილიტაცია
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი ითვლის მუნიციპალიტეტში წლის მდგომარეობით რეაბილიტირებული გზებისა და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების სიგრძეს

დადასტურების წყარო	განხორციელებული პროექტების რაოდენობა			
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	მუნიციპალიტეტის მერია			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	წლიური			
მეთოდოლოგია	ინდიკატორის გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად: დაითვლება წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში განხორციელებული საგზაო და საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პროექტების რაოდენობა, რეაბილიტირებული გზების და საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების რაოდენობა და სიგრძე			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	საბოლოო სამიზნე
	წელი	2025	2031	2037
	მაჩვენებელი	15%	50%	90%

2. წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელის მოდერნიზება, სოფლებსა და ქალაქში წყალმომარაგების უზრუნველყოფა

ინდიკატორის დასახელება	სასმელად ვარგისი წყლით და წყალანირებით უზრუნველყოფილი დასახლებების წილი დასახლებათა საერთო რაოდენობაში
ინდიკატორის ტიპი	ამოცანის შედეგის
ინდიკატორის კავშირი პროგრამის მიზანთან / ამოცანასთან	მიზანი 1.1: დმანისის მუნიციპალიტეტში წყალმომარაგებისა და წყალანირების სისტემის მოდერნიზება და წყალმომარაგებით უზრუნველყოფა
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი ითვლის მუნიციპალიტეტში წლის მდგომარეობით მოდერნიზირებული წყალმომარაგებისა და წყალანირების სისტემებით უზრუნველყოფილი დასახლებული პუნქტების რაოდენობას
დადასტურების წყარო	მოსახლეობის კმაყოფილების კვლევის შედეგები

მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	მუნიციპალიტეტის მერია			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	წლიური			
მეთოდოლოგია	ინდიკატორის გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად: დაითვლება მოდერნიზებული წყალმომარაგებისა და წყალანირების სისტემების საერთო სიგრძე და უზრუნველყოფილი აბონენტების რაოდენობა			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	საბოლოო სამიზნე
	წელი	2025	2031	2037
	მაჩვენებელი	50%	75%	100%

3. სკოლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია და მოდერნიზება

ინდიკატორის დასახელება	რეაბილიტირებული დაწესებულებების პროცენტული წილი
ინდიკატორის ტიპი	ამოცანის შედეგის
ინდიკატორის კავშირი პროგრამის მიზანთან / ამოცანასთან	მიზანი 1.2: სკოლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია და მოდერნიზება
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი ითვლის მუნიციპალიტეტში წლის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში აშენებული, რეაბილიტირებული და მოდერნიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა.
დადასტურების წყარო	მუნიციპალური მონაცემები

მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	მუნიციპალიტეტის მერია			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	წლიური			
მეთოდოლოგია	ინდიკატორის გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად: დაითვლება მუნიციპალიტეტში აშენებული, რეაბილიტირებული და მოდერნიზირებული სკოლებისა და სასწავლო დაწესებულებების რაოდენობით, ასევე სკოლის, კოლეჯის და სხვა სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთა რაოდენობით. სასტავლო დაწესებულებებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობით.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	საბოლოო სამიზნე
	წელი	2025	2031	2037
	მაჩვენებელი	გაანგარიშდება კვლევის შედეგების შესაბამისად	5%	15%

4. კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა/რეაბილიტაცია

ინდიკატორის დასახელება	მოწყობილი ან რეაბილიტირებული საზოგადოებრივი და რეკრეაციული სივრცეების რაოდენობა (%)
ინდიკატორის ტიპი	ამოცანის შედეგის
ინდიკატორის კავშირი პროგრამის მიზანთან / ამოცანასთან	მიზანი 1.2: დმანისის მუნიციპალიტეტში კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოდერნიზება
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი ითვლის მუნიციპალიტეტში წლის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში აშენებული, რეაბილიტირებული და მოდერნიზებული კულტურული და სპორტული დაწესებულებების რაოდენობა.
დადასტურების წყარო	მუნიციპალური მონაცემები
მონაცემების შეგროვებაზე	მუნიციპალიტეტის მერია

პასუხისმგებელი უწყება				
მონაცემების შეგროვების სიხშირე	წლიური			
მეთოდოლოგია	ინდიკატორის გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად: დაითვლება მუნიციპალიტეტში აშენებული, რეაბილიტირებული და მოდერნიზირებული კულტურული და სპორტული დაწესებულებების რაოდენობით, დმანისის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კულტურული და სპორტული ღონისძიებების რაოდენობით.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	საბოლოო სამიზნე
	წელი	2025	2031	2037
	მაჩვენებელი	გაანგარიშდება კვლევის შედეგების შესაბამისად	5%	15%

5. მუნიციპალიტეტის ურბანული იერსახის გაუმჯობესება

ინდიკატორის დასახელება	ურბანული განახლების პროექტების რაოდენობის ზრდა
ინდიკატორის ტიპი	ამოცანის შედეგის
ინდიკატორის კავშირი პროგრამის მიზანთან / ამოცანასთან	მიზანი 2.1: დმანისის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებით მუნიციპალიტეტის ურბანული იერსახის გაუმჯობესება
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი ითვლის მუნიციპალიტეტში წლის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც მის ურბანულ იერსახეს გაუმჯობესებს
დადასტურების წყარო	მუნიციპალური მონაცემები
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	მუნიციპალიტეტის მერია

მონაცემების შეგროვების სიხშირე	წლიური			
მეთოდოლოგია	ინდიკატორის გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად: დაითვლება მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა, რომლებიც მიმართული იქნება მუნიციპალიტეტის ურბანული იერსახის გაუმჯობესებისაკენ			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	საბოლოო სამიზნე
	წელი	2025	2031	2037
	მაჩვენებელი	0	2	2

6. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება

ინდიკატორის დასახელება	ტურისტული ობიექტებისა და მომსახურების რაოდენობის ზრდა
ინდიკატორის ტიპი	ამოცანის შედეგის
ინდიკატორის კავშირი პროგრამის მიზანთან / ამოცანასთან	მიზანი 2.1: დმანისის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარება
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი ითვლის მუნიციპალიტეტში წლის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტებისა და მომსახურების რაოდენობას.
დადასტურების წყარო	მუნიციპალური მონაცემები
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	მუნიციპალიტეტის მერია
მონაცემების შეგროვების სიხშირე	წლიური
მეთოდოლოგია	ინდიკატორის გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად: დაითვლება მუნიციპალიტეტში მოწყობილი ტურისტული ადგილების რაოდენობა, ფუნქციური შენობების რაოდენობა და სხვა ტურისტული დანიშნულების სივრცეებისა და შენობა-ნაგებობების

	რაოდენობა.ასევე დმანისის მუნიციპალიტეტში ვიზიტორთა რაოდენობა			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	საბოლოო სამიზნე
	წელი	2025	2031	2037
	მაჩვენებელი	2%	15%	50%

7. ეკოლოგიურად პასუხისმგებელი ინფრასტრუქტურული სტანდარტების დანერგვა

ინდიკატორის დასახელება	ბუნებრივი რესურსების რაციონალური მართვა			
ინდიკატორის ტიპი	ამოცანის შედეგის			
ინდიკატორის კავშირი პროგრამის მიზანთან / ამოცანასთან	მიზანი 2.1: მდგრადი, ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება			
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი ითვლის მუნიციპალიტეტში წლის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში ენერგოეფექტური სტანდარტების შემუშავება და დანერგვა.			
დადასტურების წყარო	მუნიციპალური მონაცემები			
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	მუნიციპალიტეტის მერია			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	წლიური			
მეთოდოლოგია	ინდიკატორის გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად: დაითვლება მუნიციპალიტეტში ენერგოეფექტური სტანდარტებით განხორციელებული პროექტების რაოდენობა, ასევე ენერგოეფექტური პროექტების განხორციელებით			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	საბოლოო სამიზნე
	წელი	2025	2031	2037

	მაჩვენებელი	15%	35%	60%
--	-------------	-----	-----	-----

8. მიუსაფარი და ქუჩის ძაღლების პოპულაციის ჰუმანური მართვა

ინდიკატორის დასახელება	მიუსაფარი და ქუჩის ძაღლების პოპულაციის ჰუმანური მართვა			
ინდიკატორის ტიპი	ამოცანის შედეგის			
ინდიკატორის კავშირი პროგრამის მიზანთან / ამოცანასთან	ინდიკატორი გამოიყენება მიზანი 1.3-ის – „უსაფრთხო, ჯანსაღი და ეკოლოგიურად მდგრადი საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა“ და ამოცანა 1.3.5-ის – „მიუსაფარი და ქუჩის ძაღლების პოპულაციის ჰუმანური მართვა“ შედეგების გასაზომად. ინდიკატორი ასახავს მუნიციპალიტეტში მიუსაფარი ცხოველების ჰუმანური მართვის სისტემის დანერგვის, ვაქცინაციისა და სტერილიზაციის პროგრამების ეფექტიანობას, პოპულაციის შემცირების დინამიკას, ცხოველთა აღრიცხვის სისტემის განვითარებასა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას.			
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი აფასებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიუსაფარი და ქუჩის ძაღლების პოპულაციის ჰუმანური მართვის სისტემის დანერგვისა და განვითარების დონეს. იგი მოიცავს ვაქცინირებული და სტერილიზებული ცხოველების რაოდენობას, ელექტრონულ კატალოგში რეგისტრირებული ცხოველების წილს, მიუსაფარი ძაღლების პოპულაციის შემცირების მაჩვენებელს, ცოფისა და სხვა საშიში დაავადებების შემთხვევებს, ასევე მოსახლეობის ცნობიერებისა და ჩართულობის ზრდას.			
დადასტურების წყარო	დმანისის მუნიციპალიტეტის მერის წლიური ანგარიში; მუნიციპალური ინსპექციის ანგარიშები; სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო. ვეტერინარული მონიტორინგის მონაცემები; ონლაინ კატალოგის მონაცემთა ბაზა; მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები.			
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია.			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	წლიური			
მეთოდოლოგია	ინდიკატორის გაანგარიშება ხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ შეგროვებული ადმინისტრაციული და მონიტორინგის მონაცემების საფუძველზე. შეფასება მოიცავს ვაქცინირებული და სტერილიზებული ცხოველების რაოდენობას, ელექტრონულ კატალოგში რეგისტრირებული ცხოველების რაოდენობას, მიუსაფარი ძაღლების პოპულაციის ცვლილების მაჩვენებელს, ცოფისა და სხვა საშიში დაავადებების შემთხვევების რაოდენობას, ასევე საინფორმაციო კამპანიების შედეგად მოსახლეობის ცნობიერების დონის ცვლილებას. საბოლოო შეფასება ეფუძნება აღნიშნული მაჩვენებლების ერთობლივ ანალიზს.			
		საბაზისო	შუალედური	საბოლოო სამიზნე

	წელი	2025	2031	2037
ინდიკატორის მაჩვენებლები	მაჩვენებელი	მაჩვენებელი – მიუსაფარი ცხოველების მართვა ხორციელდება არასისტემურად; სტერილიზაცია და ვაქცინაცია არ ფარავს პოპულაციის საკმარის ნაწილს; არ არსებობს ერთიანი ელექტრონული აღრიცხვის სისტემა; მოსახლეობის ცნობიერება დაბალია; ცხოველთა რაოდენობის ზუსტი სტატისტიკა არ არის ხელმისაწვდომი.	მაჩვენებელი – დანერგილია CNR (Capture–Neuter–Return) მოდელი; ვაქცინირებული ცხოველების რაოდენობა აღწევს არანაკლებ 450 ერთეულს (კუმულაციურად); სტერილიზებული ცხოველების რაოდენობა აღწევს არანაკლებ 360 ერთეულს (კუმულაციურად); ცოფის შემთხვევები არ ფიქსირდება; მიუსაფარი ძაღლების პოპულაცია შემცირებულია მინიმუმ 20%-ით; ფუნქციონირებს ონლაინ კატალოგი და რეგისტრირებულია არანაკლებ 150 ცხოველი.	მაჩვენებელი – მუნიციპალიტეტში დანერგილია მიუსაფარი ცხოველების ჰუმანური მართვის მდგრადი სისტემა; მიუსაფარი ძაღლების პოპულაცია შემცირებულია მინიმუმ 50%-ით (2025 წელთან შედარებით); ყველა მიუსაფარი ცხოველის არანაკლებ 95% ასახულია ციფრულ კატალოგში; ცოფისა და სხვა საშიში დაავადებების შემთხვევები ნულოვანია; მოსახლეობის ცნობიერება ჰუმანური მოპყრობის საკითხებზე გაზრდილია მინიმუმ 50%-ით; შემცირებულია ადამიანებსა და ცხოველებს შორის კონფლიქტური შემთხვევები.

9. მუნიციპალური ნარჩენების გატანის მომსახურებით მოსახლეობის დაფარვის მაჩვენებელი, %

ინდიკატორის დასახელება	მუნიციპალური ნარჩენების გატანის მომსახურებით მოსახლეობის დაფარვის მაჩვენებელი, %
ინდიკატორის ტიპი	ამოცანის შედეგის

ინდიკატორის კავშირი პროგრამის მიზანთან / ამოცანასთან	მიზანი N1.3.3 – მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის განვითარება და მოსახლეობისთვის ხარისხიანი დასუფთავების მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა. ინდიკატორი გამოიყენება ნარჩენების გატანის მომსახურებით მოცული მოსახლეობის წილის გასაზომად და მომსახურების გეოგრაფიული გაფართოების შესაფასებლად.			
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი ითვლის მუნიციპალიტეტში შინამეურნეობის წილს, რომლებიც სარგებლობენ მუნიციპალური ნარჩენების გატანის მომსახურებით.			
დადასტურების წყარო	მუნიციპალური მონაცემები			
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	მუნიციპალიტეტის მერია			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	წლიური			
მეთოდოლოგია	ინდიკატორის გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად: წლის მდგომარეობით დაითვლება მუნიციპალიტეტში შინამეურნეობების რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ მუნიციპალური ნარჩენების გატანის მომსახურებით. აღნიშნული რაოდენობა გაიყოფა მუნიციპალიტეტის მთლიან შინამეურნეობების რაოდენობაზე და გამრავლდება 100-ზე. მიღებული შედეგი გამოხატავს მომსახურებით დაფარვის მაჩვენებელს პროცენტებში.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	შუალედური	საბოლოო სამიზნე
	წელი	2024	2031	2037
	მაჩვენებელი	22 %	45%	70%

10. მცირე და საშუალო მეწარმეობის და ინოვაციური ბიზნეს იდეების მხარდაჭერის პროგრამების დანერგვა

ინდიკატორის დასახელება	მხარდაჭერილი ბიზნესის მიერ დანერგილი ან გამომუშავებული ახალი პროდუქტი
ინდიკატორის ტიპი	ამოცანის შედეგის
ინდიკატორის კავშირი პროგრამის მიზანთან / ამოცანასთან	მიზანი 2.1: დმანისის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მეწარმეობის გაძლიერება და ბიზნესგარემოს განვითარება

